საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ (✓) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად არჩილ კოჭლამაზაშვილის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

24 აპრილი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით) დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი არჩილ კოჭლამაზაშვილი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

არჩილ კოჭლამაზაშვილი ასევე შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ არჩილ კოჭლამაზაშვილის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 90 ქულა.

საბჭოს 2025 წლის 15 აპრილის 1/37 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - არჩილ კოჭლამაზაშვილი.

არჩილ კოჭლამაზაშვილის შეფასების შედეგების ანალიზისა და მასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 985 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1100) 89,55 პროცენტია.

2025 წლის 24 აპრილს მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მისი პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. მივიღე გადაწყვეტილება, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს არჩილ კოჭლამაზაშვილი, ვინაიდან შეფასებების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზურაბ გურასპაშვილი